

ბახსენება

ჯეომატიკის ძიებაში

„მამა რაჭველი მყავდა, დედა - იმერელი, მე კი კახელი ვარ“. ასე იწყება ბატონ ვახტანგ ბოჭორიშვილის ბიოგრაფიული ნარკვევები. მისი პიროვნება გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა, ხოლო მისი ფენომენი, როგორც მოქალაქისა და მოღვაწისა, თავისებურ ელფერს აძლევდა ჩვენს ყოველდღიურ ყოფას. უფრო მეტიც, ვახტანგ ბოჭორიშვილი პროფესიული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და მისი განვითარების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წარმმართველი იყო, რომლის გარეშე დღეს შეუძლებელია ჩვენი ეროვნული აზროვნების, დღევანდულობისა და მომავლის წარმოდგენა.

„დავიბადე 1923 წელს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ გიორგეთში, - მოუთხრობს ვახტანგ ბოჭორიშვილი მკითხველს, - თუმცა, ოფიციალური ვერსიით, ჩემი დაბადების თარიღი 1924 წლის 25 მარტია, საქმე ისაა, რომ იმხანად ეს სოფელი ახალი დაარსებული იყო. აქ ჯერ არც ეკლესია იყო და არც არავითარი აღრიცხვიანობა. 8 თვისა ვყოფილვარ, როცა ველისციხეში გადავსულვართ საცხოვრებლად და ეკლესიაშიც მაშინ გამატარეს“. ე.ი. საეკლესიო ვერსიით ვახტანგ ბოჭორიშვილის დაბადების თარიღი 1924 წელია.

ისტორიულად ცნობილია, რომ სოფელი გიორგეთი ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულმა რაჭველებმა დაარსეს. საზღვრისპირა სოფლის გაძლიერების მიზნით, ნოე უორდანიას მთავრობამ გიორგეთში 40 ოჯახი ჩაასახლა და ყოველ ოჯახს თითო ურემი ცხენით უბოძა.

დემოკრატიული საქართველოს მატთანე გადმოგვცემს, რომ ეკონომიკური ყოფის სიღუბეების მიუხედავად, მთელი მოსახლეობის ეროვნული დამოუკიდებლობის სულისკვეთება იმდენად ამადლებული და სისხლხორცეული იყო, რომ პირად კეთილდღეობაზე წუწუნი მკრეხელობად მიაჩნდათ. ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში დამოუკიდებელი საქართველოს ჰიმნის ავტორმა, ვახტანგ ბოჭორიშვილის დედის ძმამ, კომპოზიტორმა კოტე ფოცხვერაშვილმა, რომელიც ძალზე მიღებული პიროვნება იყო ქართულ საზოგადოებაში, შემდეგი სიტყვებით მიმართა დამსწრეთ: „გაიხსენეთ დიდი აკაკის სიტყვები, რომლითაც თავის კურთხეულ კალამს მიმართა - „რას მიქვია პირადი მწუხარება!“

ეროვნული სულისკვეთების მძლავრი ფენომენი თავის ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა ყოველი მოქალაქის არა მარტო ყოფით, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორიენტაციაზე. საცხოვრებლად კახეთში მიმავალ ვახტანგ ბოჭორიშვილის მამას, ბატონ გაბრიელს, კოტე ფოცხვერაშვილმა შესთავაზა თბილისში დარჩენა და სკოლაში ან ეკლესიაში სამსახური. „მამაჩემმა, - იგონებს ბატონი ვახტანგი, - შემოთავაზებულზე უარი უთხრა: 40 ოჯახში განათლებული მარტო მე ვარ და რომ არ წავიდე, სანამ იქ სოფელი და სკოლა აშენდება, ბავშვები ჩამორჩებიანო. მართლაც, 4 წელიწადი მამაჩემი ბავშვებს უფასოდ ასწავლიდა იმპროვიზირებულ სკოლაში და საკუთარ ყანას შუადღის მერე თოხნიდა“.

მოგვიანებით ბოჭორიშვილის ოჯახი თელავში გადასახლდა და ვახტანგმა პირველ საშუალო სკოლაში დაიწყო სწავლა. „შინაგანად რაც რამ კარგი გამაჩნდა, - იგონებს ბატონი ვახტანგი, - თელავისაგან მქონდა. თელავის პირველი საშუალო სკოლა დავამთავრე, რა თქმა უნდა წარმატებით, ასე რომ მთელი ჩემი არსებით თელაველი ვარ“.

ბავშვობის წლებიდანვე ბატონი ვახტანგი თეატრალური ხელოვნებით იყო გატაცებული. „მერვე კლასიდან თეატრმა, განსაკუთრებით რეჟისურამ, გამიტაცა“ - იგონებს ის. 1938 წლის დასაწყისიდან თელავის თეატრის ტექნიკურ რეჟისორად დაინიშნა და საშუალო სკოლის დამთავრების დროს მას თეატრში მუშაობის უკვე სამი წლის გამოცდილება ჰქონდა.

ვახტანგ ბოჭორიშვილი სკოლის დამთავრებისთანავე, 1940 წელს წარჩინების დიპლომით, უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ჯგუფში, რომელსაც გამოჩენილი რეჟისორი, ბატონი შოთა ახსაბაძე ჩაუდგა სათავეში.

მეტად გაუსაძლისი და მშფოთვარე იყო მისთვის სტუდენტობის წლები თეატრალურ ინსტიტუტში. მიუხედავად ფრიადოსნის სტიპენდიისა, ქალაქში სწავლა და ყოფითი პირობები იმდენად მძიმე იყო, რომ იძულებული შეიქმნა დროებით შეეწყვიტა სწავლა, თელავში დაბრუნებულიყო და თეატრში ტექნიკურ რეჟისორად და მსახიობად დაეწყო მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიასთან სისხლისმღვრელი ომი მპეინვარებდა, საქართველოში თეატრალური ცხოვრება გრძელდებოდა და თვალსაჩინო თეატრალურ მოღვაწეებთან მხარდამხარ ახალგაზრდა თაობაც იკრეფდა ძალას.

1943 წელს ახალგაზრდა რეჟისორების პირველი საკავშირო კონკურსი-დათვალირება გამოცხადდა, რომლის მონაწილეს გამოცდები უნდა ჩაებარებინა და ერთი პიესა დაედგა. ამ კონკურსში მონაწილეობდნენ იმ დროისათვის ახალგაზრდა და უკვე სახელგანთქმული რეჟისორები: გიორგი ტოვსტონოგოვი, დიმიტრი ალექსიძე, რომლებსაც კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტი ჰქონდათ დამთავრებული.

კონკურსში ვახტანგ ბოჭორიშვილმაც მიიღო მონაწილეობა. დებიუტი და ტრიუმფი ერთდროულად შედგა. პიესა მოიწონეს. მიანიჭეს მეორე კატეგორიის რეჟისორობა. გადაიყვანეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში და რეჟისორ-ასისტენტად დანიშნეს.

სიღარიბე და ავადმყოფობა კვლავ მოეძალა ახალგაზრდა შემოქმედს. დიდი კონსტანტინე გამსახურდიას უთქვამს: „სიღარიბე უდიდეს მასწავლებელია ამ ცხოვრებაში“. 1945 წლის მარტში ვახტანგ ბოჭორიშვილი სოხუმის სახელმწიფო თეატრში გადადის დამდგმელი რეჟისორის თანამდებობაზე, სადაც ცხოვრებისა და შემოქმედებითი მუშაობის უკეთესი პირობები შეექმნა.

ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში ბევრმა უსამართლობამ მოიცალა მისთვის, თითქოს ბუნებას მისი ადამიანური გამძლეობის გამოცდა ეწადაო.

სოხუმის სახელმწიფო თეატრში 21 წლის ახალგაზრდას „ხევისბერი გოჩას“ დადგმა შესთავაზეს. სპექტაკლის დადგმა წარმატებით განხორციელდა, მაგრამ აფხაზეთის პარტიულ ნომენკლატურასთან ჭიდილში ახალგაზრდა რეჟისორმა არ დათმო პოზიცია, რის გამოც დატოვა თეატრი და შეწყვიტა პროფესიული საქმიანობაც.

ის ასეთი იყო და სხვანაირად არც შეეძლო ყოფნა. ვახტანგ ბოჭორიშვილის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყებოდა, მალე ის დებულობს გადაწყვეტილებას, სამედიცინო განათლებას ეზიაროს. სურვილი სინამდვილესთან მიახლოების მეგზურად იქცა.

„მედიცინა მეცნიერებაც არის, მაგრამ უპირველესად ის ხელოვნებაა“, - ამბობდა ბატონი ვახტანგი და ასეთი მაგალითები მოჰყავდა: „პუშკინს ერთგან უწერია: შთაგონება გეომეტრიაში იმაზე ნაკლებად როდია საჭირო, ვიდრე პოეზიაში“, ბოროდინი კომპოზიტორი იყო და დიდებული ქიმიკოსი; ჩეხოვი ექიმი იყო და დიდებული მწერალი. მსგავსი მაგალითები უამრავია“.

სწორედ რომ, ხელოვნებისა და მედიცინის სიმბიოზი იზიდავდა ვახტანგ ბოჭორიშვილს და ამის გამო შეუდგა შორეულ გზას სამედიცინო განათლების მისაღებად.

1945 წელს, ვახტანგ ბოჭორიშვილი წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს და ხარკოვის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ხდება. ის ჩვეული შემართებით ეწაფება სამედიცინო საგნებს. აზრიანი, მეტყველი, ნიჭიერი და შრომისმოყვარე სტუდენტი ყოველმხრივ ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი მონაცემები და შესაძლებლობანი. ყოველივე ამის შედეგად ვახტანგ ბოჭორიშვილს მეორე კურსის ბოლოს სახელობითი (სტალინური) სტიპენდია დაუნიშნეს. აი რას წერს ამის შესახებ ბატონო ვახტანგი: „პარალელურად ინსტიტუტში დრამატული წრის ხელმძღვანლად დავიწყე მუშაობა. ჩემი სტიპენდია და ხელფასი ერთად ექიმის ხელფასზე ორჯერ უფრო მეტი იყო. 1947 წლის 5 სექტემბერს დავქორწინდი“. ქალბატონი ლიდა და ბატონი ვახტანგი თანაკურსელები იყვნენ. მათი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი თანაცხოვრება სიყვარულის, ოჯახის შენების, ადამიანური გამძლეობის დიდი გამოცდაც იყო. ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ვახტანგ ბოჭორიშვილის მასწავლებელმა, პროფესორმა ილია ბრაუდემ უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროს თხოვნით მიმართა, ახალგაზრდა, ნიჭიერი და პერსპექტიული ექიმი დაეტოვებინათ მის კათედრაზე ინფექციურ სნეულებათა კურსის წასაკითხად. ზემდგომმა ორგანომ უარით უპასუხა ცნობილი პედაგოგისა და კლინიცისტის შუამდგომლობას. სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდგომ, ორი კურსდამთავრებული - ვახტანგ ბოჭორიშვილი და მისი მეუღლე, კომისიის გადაწყვეტილებით, ყაზახეთში გაგზავნეს სამუშაოდ. ასე დაიწყო პროფესიული საქმიანობისა და ცხოვრების შეცნობის რთული გზა.

ახალგაზრდა ოჯახი ყაზახეთში, ჩიმენთის ოლქში დაფუძნდა და დაიწყო შრომითი საქმიანობა. „ჩემი მეუღლე ოლქის მთავარ ეპიდემიოლოგად დაინიშნა, მე კი საოლქო ინფექციონისტის მოვალეობას ვასრულებდი მთავარი ინფექციონისტის მოხუცებულობის გამო“, - იგონებს ბატონი ვახტანგი.

მაღე ბოჭორიშვილების ოჯახი სამხედრო გაწვევით მოსკოვის გარეუბანში - ოჩკოვოში ბინავდება და სამი წელი სამხედრო-საზღვაო ბატალიონში მსახურობს წამყვან ინფექციონისტად. ვაჟა-ფშაველა ბრძანებდა: „ადამიანი მითი ფასდება, აზრს ვინც ატარებს ფრთიანსა“. ამ სიტყვების სიდიდე მის პიროვნულ თვისებებში ნათლად იყო გამოხატული.

ახალგაზრდა პროფესიონალი მაღე სამხედრო უწყების მეთაურთა ყურადღებასა და პატივისცემას იმსახურებს. მათი შუამდგომლობით ვახტანგ ბოჭორიშვილი იგზავნება სამი თვით ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში დახელოვნების კურსებზე.

აკადემიაში მის მიერ შესრულებულ იქნა სამეცნიერო ნაშრომი „ლამბლიების როლი დიზენტერიის დროს“. ახალგაზრდა სპეციალისტის მიერ გამოკვლეულმა მასალამ პროფესორ პეტრე ალისოვის, რომელიც თავდაცვის სამინისტროს მთავარი ინფექციონისტი იყო, დიდი მოწონება დაიმსახურა. მიუხედავად სამხედრო უწყების მიერ მრავალი ბიუროკრატიული წინააღმდეგობისა, 1956 წელს ვახტანგ ბოჭორიშვილი, რომელიც იმხანად 32 წლისა იყო გადაჰყავთ ლენინგრადში, სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, სადაც განვლო გზა რიგითი ორდინატორიდან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორამდე. ეს გზა იყო რთული წინააღმდეგობებისა და განსაცდელის, გამარჯვებისა და აღმავლობისა, ადამიანების შეცნობისა და კოლეგებთან კეთილი ურთიერთობების, ცხოვრების გაკვეთილებისა. მომადლებულ ნიჭიერებასთან ერთად, ვახტანგ ბოჭორიშვილს გააჩნდა ადამიანებთან კომუნიკაბელობის საოცარი უნარი, გრძნობათა გაზიარების დიდი პათოსი, სწორედ ეს თვისებები აძლიერებდა მის ბრძოლისუნარიანობას და ქმნიდა მის კეთილ პიროვნულ აურას.

ჯანგი მამალაძე,

პროფესორი